კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით ნავთობროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 18

ქ. ქუთაისი 04.05.2012წ.

1. ერთის მხრივ, აბაშის მუნიციპალიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 222448643;) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით თოფურიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია" (საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136) (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი ნანა ნაკაშიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტისა და კლასიფიკატორის კოდის დასახელება

2.1 CPV - 09132000 - ბენზინი
2.2 კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად ბენზინის შესყიდვა.

3. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით:

3.1წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის ბენზინს - რეგულარი (ოქტანობა არა ნაკლებ 91, ევრო 3 სტანდარტი) 4590.0 ლიტრი, სავარაუდო ღირებულებით - 10373,40 ლარი; პრემიუმი (ოქტანობა არა ნაკლებ 95) 26860.0 ლიტრი, სავარაუდო ღირებულებით - 62852,40 ლარი; ევრო დიზელი 2330.0 ლიტრი, სავარაუდო ღირებულებით - 5661,90 ლარი.

4. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება:

4.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 78887.70 (სამოცდათვრამეტი ათასრვაასოთხმოცდაშვიდი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ~~ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეიძლება შეიცვალოს ამ ხელშეკრულების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.~~

5. ერთეულის ფასი საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით.

5. მხარეებია თანხმობენ, რომ მიწოდების ყველა ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ~~ინვოისის~~ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მიწუს 4 (ოთხი) თეთრის ~~ოდენობით დღგ-ს ჩათვლით.~~

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები:

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური სისტემით.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინმსწრებად.
6.3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანისაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ~~მხარეები შეთანხმებით განსაზღვრული დროის~~ წინა პუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულებიდან ორი საქმიანი დღის ვადაში.

7. საწვავის მიწოდება განხორციელდეს ყოველ თვე ეტაპობრივად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

9.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებელი უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის სერტიფიკატებში მოცემულ ნორმებს.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
-განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
-უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე:

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გადასცეს მიმწოდებელს საწვავის მიღებასათვის საჭირო ტალონების რაოდენობა;
- გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხებების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება შემსყიდველის მიერ შექმნილ სპეციალურ ინსპექტირების ჯგუფს.

11.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლა.

11.3 თუ ვალდებულებების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

11.4 მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დარუნებას ან სხვა ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

12. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და

მიწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

13. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1 ხელშეკრულების დამდგ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. აღნიშნული დებულება არ გამოიყენება ხელშეკრულების საკარაუდო ღირებულების და ყოველი მხარის სასწავლის ეროვნული ლიტერის ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის ცვლილების საკითხიც რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების

13.2 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რომელიმე მხარე (ეროვნული/ინფლაციის ინდექსი) მოითხოვს ხელშეკრულების პირობების შეცვლას (გარდა ამ ხელშეკრულების 13.1. პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა) ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილება (გარდა ამ ხელშეკრულების 13.1. პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა) უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

14. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
აბაშის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია
მის: აბაშა, ტ.დარასელიას ქ. №1	მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის
საიდენტიფიკაციო კოდი: 222448643	რაიონი, დ. აღმაშენებლის №154
სს „ლიბერთი ბანკი"	საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკის კოდი: LBRTG22	სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ
ანგარიშის №GE22LB0120144053130000	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ანგარიშის №GE62BG0000000876831000
	ბანკის კოდი: სს „თიბისი ბანკი"-ს ც/ფ
	ანგარიშის №GE05TB7538836020100001

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე დავით თოფურია

შ.პ.ს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს
წარმომადგენელი ნინა ნაკაშიძე